პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! სიმშაბათი, 10 ნოემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

255 (953) | 1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრ.

16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა, თემ-აღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1) ტფილისის აღმასკომის 1925—26 წლ. ბიუჯეტის განხილვა.

2) ინფორმაცია ადგილებიდან.

პრეზიდიუმი.

## ახალი გამარჯვება შრომის ფრონტზე.

ოქტომბრის მერვე წლის თავი საქართველოში აღინიშნა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევით.

ეს—ახალსენაკსა და ხეთას შორის რკინის გზის გახსნა. აქ ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ თუ რა დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის რკინის გზის ქსელის გაფართოვებას.

შავიზღვის სანაპირო რკინის გზის გაყვანის იდეა ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს წამოიჭრა. კიდევაც სცადეს მაშინ ამ იდეის სისრულეში მოყვანა, მაგრამ იმპერიალისტურ ომმა ხელი შეუშალა მის განხორციელებას და ის მიეცა დავიწყებას.

მენშევიკების ბატონობის დროსაც ქონდა ადგილი ამ გზის გაყვანის ცდას, მაგრამ ამაოდ. პირიქით ამ გზისთვის მომარაგებული მასალა გაფლანგულ და ბედის ანაბარად მიტოვებული იქნა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შავიზღვის სანაპირო რკინისგზის საკითხი კვლავ დღის წესრიგში ისმება.

მიუხედავათ მატერიალური სივიწროვისა, მიუხედავათ იმისა, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლდა ომისა და მენშევიკური ბატონობის მიერ ნაანდერძევ ჭრილობებისაგან, საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ იცავს ამ იდეის სისრულეში მოყვანას

და ამ დიდ საქმის პირველი ნაყოფი უკვე ჩვენ თვალწინ არის. ჯერჯერობით გაიხსნა მიმოსვლა ახალ-სენაკსა და ხეთას შორის.

და ყოველივე ეს შესრულებულ იქნა სულ ოთხი თვის ენერგიული მუშაობის შემდეგ. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის აგების საქმე სავსებით უზრუნველყოფილია სათანადო თანხით და ყოველგვარი საჭირო მასალით. მუშაობა ისეთივე გამალებით სწარმოებს, როგორც დღემდე. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა გაყვანილ იქნება ტუაპსემდე.

ახალსენაკსა და ხეთას შორის მიმოსვლის გახსნა საუკეთესოთ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ სოციალისტური საქართველო მტკიცედ და შეურყევლად მიიწევს წინ აღორძინებისა და აყვავების გზაზე.

## ამხ. რიკოვის სურვილები ოქტომბრის მერვე წლის თავზე.

ნებას მივცემ ჩემ თავს დავკმაყოფილდე ამ წელში მხოლოდ შემდეგი სურვილებით:

რომ მომავალ პერიოდში ასრულებულიყოს ვლადიმერ ილიჩის იმედები და დაგვემარცხებინა სიღარიბე ნამდვილ საქმიან პრაქტიკულ მუშაობაში ახალი სოციალისტურ საზოგადოების ორგანიზაციის საქმეში.

რომ ახალი წელიწადი ყოფილიყოს გაგრძელება ამ წლის, რომელშიაც დაიწყო მეურნეობის აღორძინება და მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება.

რომ მუშებისა და გლეხების კავშირი, განსაკუთრებით მის საქმიან ფორმებში, ქალაქის სოფელთან სამეურნეო დაახლოებაში, უფრო გამტკიცებულიყოს.

რომ სოფლის უფრო ჩამორჩენილ და ღარიბ ფენებს მიეღოთ მეტი დახმარება საბჭოთა მთავრობისაგან და გამოეჩინოთ მეტი ორგანიზაციულობა და შემჭიდროება.

რომ კოოპერაციას, რომელიც გასულ წელში საბჭოების და პარტიის ყურადღების ცენტრში იყო, ესწავლოს უფრო იაფი და უფრო სწრაფი მუშაობა. რომ სოფლად ის გამხდარიყოს მასიურ ორგანიზაციად, რომლის მეოხებით ღორძინდება ღარიბთა მეურნეობა და ჩნდება პირველი ყლორტები მიწადმოქმედების სოციალისტური ორგანიზაციისა.



ამხ. რიკოვი.

რომ პარტია შევსებულიყოს მუშების ახალი კადრებით, რომ მასში შესულიყოს საუკეთესო, უფრო აქტიური წარმომადგენლები სოფლის ღარიბთა და მოჯამაგირეთა. რომ პარტიულ კრებებზე ყოფილიყოს მეტი საქმიანი კრიტიკა და საქმიანი სჯა ყველა წევრების მონაწილეობით იმ მეტად ძნელ და რთულ მუშაობაში, რომელიც ტარდება ამ ჟამად ცხოვრების ყველა დარგებში.

რომ ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების აღმშენებლობაში არ დაგვეშვას დიდი შეცდომები, არამედ აგვეგოს ისეთი ფაბრიკები, რომლებიც ყველაზე უფრო აუცილებელია და ისეთ რაიონებში, სადაც ეს მეტად საჭირო და ხელსაყრელია.

რომ საბინაო კრიზისის მოგვარება დაწყებულიყოს და ჩვენ გვესწავლოს იაფი და კარგი ბინების აგება. რომ კულტურული აღმშენებლობა არ ჩამორჩენოდეს სამეურნეოს.

რომ შემცირებულიყოს ბიუროკრატიული საქმის გაჭიანურება, რომ ნაკლები ყოფილიყოს კამათი, ლაპარაკი და დაუსრულებელი მოხსენებები საბჭოთა დაწესებულებებში და აპარატებში. რომ გაცხოველებულიყოს სახელმწიფოებრივი, პარტიული და სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები სახალხო კრებებზე.

რომ მუშებისა და გლეხების დაწინაურებას, რომელმაც ბევრ შემთხვევაში დაგვიმტკიცა, რომ ისაა საუკეთესო ბრძოლის საშუალება ბიუროკრატ ზმთან,— და მუშებისა და გლეხების ჩაბმას სახელმწიფო დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობაში მიეღოს უფრო ფართე და სისტემატიური ხასიათი. რომ ამ დაწინაურებისა და სხვა მის მსგავს ზომების საშუალებით შეიძლებოდეს სერიოზული გამარტივება და გამუშურება სახელმწიფო აპარატისა.

რომ ნაკლები ყოფილიყოს სასეირნო დღეები იუბილეების გამო, ხოლო თვით იუბილეებს სჭირდებოდეს ნაკლები ხარჯები, ვინემ დღეს.

რომ ამხანაგები უფრო უფრთხილდებოდენ თავსა და ერთმანეთს და არ კვდებოდენ ისე უმიზნოდ და შემთხვევით, როგორც ეს მიმდინარე წელში იყო.

# ახალი რადიო-ამბები

## ოქტომბრის დღესასწაული საზღვარგარედ

### ანგორაში.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-8 წლის თავი ანგორაში გადაიქცა ოსმალეთ საბჭოთა მეგობრობის საგულისხმიერო დემონსტრაციად.

სსსრ-ს საელჩოში თავი მოიყარა 200-დე სტუმარმა, მათ რიცხვში იყვენ ოსმალეთის მთავრობის ყველა წევრები ისმეტ ფაშას მეთაურობით, ასამდე მეჯლისის დეპუტატი, ქემალ-ფაშას ორი პირადი წარმომადგენელი, ოსმალეთის უცხოელ ბანკების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, დელეგატები, ადგილობრივ მუშათა ორგანისაციებიდან და სხვა.

### ბერლინში.

საბჭოთა კავშირის საელჩოში გაიმართა საზეიმო მიღება, რომელზედაც დაესწრო ჩიჩერინი, სემაშკო და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები: ლიუტერი, შტრეზემანი, პრუსიის მინისტრი ბრაუნი, მრავალი მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები—ეინშტეინი, რეინგარდტი და სხვა.

### ტოკიოში.

დღესასწაული დიდი ზეიმით გადაიხადა საელჩომ. დაესწრენ მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საელჩომ მიიღო მთელი რიგი მისალმების დეპეშებისა მუშადა კავშირებითან.

## ახალი სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი.

### სსრკ-ს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1) დანიშნულ იქნას საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ **კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვი.**

2) დამტკიცებულ იქნას საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ **მიხეილ მიხეილის ძე ლაშევიჩი.**

3) დამტკიცებულ იქნას საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ **იოსებ სტანისლავის ძე უნშლიხტი.**

## ამხ. ვოროშილოვის ბიოგრაფია.

ვოროშილოვი დაიბადა 1881 წლის 23 იანვარს ბახმუტის მაზრაში, ეკატერინოსლავის



ამხ. ვოროშილოვი.

გუბერნიაში, მოჯამაგირე გლეხის ოჯახში.

6 წლის ჰასაკიდან ვოროშილოვმა დაიწყო ფიზიკური შრომა. 2 წელი ის სწავლობდა სახალხო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1895 წელში. 1896 წლიდან ის შევიდა ქარხანა დიუმში სადგურ ალჩევსკში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში, რომელშიაც მას ცოტა ხნით მოუწია მუშაობა, ვინაიდან ის რამოდენიმეჯერ გაჩხრიკეს და დააპატიმრეს რევოლიუციონურ გამოსვლებისთვის, ხოლო 1900 წელში დაითხოვეს ქარხნიდან და იმყოფებოდა პოლიციის ფარულ მეთვალყურეობის ქვეშ.

1904 წლის დასაწყისში ვოროშილოვი არჩეულ იქნა ბოლშევიკების ცეკას წევრად.

1905 წლის დასაწყისში ის არის ორგანიზატორი საგაფიცვო მოძრაობის, ხოლო იმავე წლის დასაწყისში ის დაპატიმრებულ იქნა ლუგანსკში, სადაც იჯდა ციხეში 8 თვე.

1906 წლის თებერვალში ის არჩეულ იქნა სოციალდემოკრატიული პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე. იმავე წელში ის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია მებრძოლ დრუჟინების.

1907 წლის ივლისში სამხრეთ-რუსეთის პარტიულ კონფერენციის შემდეგ კიევში, ვოროშილოვი დააპატიმრეს და გააგზავნეს სამი წლით არხანგელის გუბერნიაში, საიდანაც იმავე წლის დეკემბერში ის გაიქცა და მოახერხა სამუშაოზე შესვლა ბაქოში. დაწყებული 1912 წლიდან 1917 წლამდი ვოროშილოვი დღეღალავად მუშაობს ლუტოვინოვსა და კალინინთან ერთად და არა ერთხელ აპატიმრებენ.

1917 წლის თებერვალში ვოროშილოვი აწყობს აჯანყებას გვარდიის ლეგიონებში და ამ დროსვე არჩეულ იქნა პეტერბურგის საბჭოში, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად მან მოაწყო ბოლშევიკების ფრაქცია.

დაწყებული 1918 წლის მარტიდან 1919 წლამდი ვოროშილოვს მთელი მუშაობა მიმდინარეობდა მუშათა რაზმებისა და დრუჟინების შედგენაში გერმანელების წინაამდეგ.

1919 წლის მაისში ის დანიშნული იყო ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად, სადაც მან ლიკვიდაცია გაუკეთა „გრიგორიევშჩინას". 1921 წლის მაისში ის დანიშნული იყო ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსად და ამ თანამდებობაზე დარჩა, სანამ მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსად დანიშნავდენ.

ვოროშილოვი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორი ორდენით, ოქროს იარაღით, საათით და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პეკინში.

პეკინში სსრკ-ს საელჩოში გაიმართა მიღება ოქტომბრის დღესასწაულის გამო. დაესწრო ჩინეთის მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

არ დასწრებია ინგლისის წარმომადგენელი და არც ბარათი გამოუგზავნია.

დაესწრო ჩინეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. თავი მოიყარა სხვა და სხვა უნივერსიტეტების 500-მდე სტუდენტმა და მიესალმა საელჩოს.

## სპარსეთის მთავრობის ცნობა.

გამოქვეყნებულია ოფიციალურად, რომ სსრკ—ს, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ბელგიისა და პოლონეთის მთავრობებმა იცვნეს სპარსეთის ახალი მთავრობა.

პრესა (გაზეთები) სდუმს საფრანგეთის სიჩუმის შესახებ, რომლებსაც ჯერ არ უცვნია სპარსეთის მთავრობა.

# კიდევ ერთი გამარჯვება ალმშენებლობის ფრონტზე.

## ხეთა-ახალსენაკის რკინის გზის გახსნა.

შავი ზღვის სანაპირო რკინისგზის გაყვანის საქმე დიდი ხანია რაც დაიწყო. ომამდე ჯერ კიდევ მეფის მთავრობამ მოკიდა ხელი ამ საქმეს. ომმა ამ საქმეს ხელი შეუშალა. მენშევიკების დროს ამ ხაზზე მცირე ხნით მოეწყო მოძრაობა, მაგრამ დროებით აშენებული ხის ხიდები როგორც კი დალპა, მოძრაობა შეჩერდა და მას მერე მენშევიკები არც ცდილობდენ მის შეკეთებას. [დარჩენილი მასალებიც დაიტაცეს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი მუშაობის განახლება. და 7 ნოემბერს, ოქტომბრის მე-8 წლის თავზე ხეთა-სენაკის ხაზმა დიდის ზეიმით გახსნა თავის მოძრაობა.

დილის 11 საათზე შევედით ახალ სენაკში. სადგურზე თავმოყრილია აუარება გლეხობა. ორკესტრითა და ვაშას ძახილით ხალხი ეგებება ამხ. ამხ. ცხაკაიას, ელიავას, გეგეჭკორს, მახარაძეს, ლუკაშინსა და სხვა. დამსწრეთა შორის არაჩვეულებრივი აღფრთოვანებული განწყობილებაა. 12 საათზე მატარებელი მიდის მწვანით და ფლაგებით მორთულ არკასთან. მატარებელი ჩერდება და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ამხ. ჩაკვეტაძე ხსნის მიტინგს ორთქლმავალთან. ამხ. ცხაკაია ინტერნაციონალის ხმაზე ზეიმით სჭრის არკის ორ სვეტზე გადაჭიმულ ლენტს. მოკლე სიტყვაში ამხ. ცხაკაია აღნიშნავს იმ დიად მნიშვნელობას, როგორიც აქვს ამ გზას მოსახლეობისთვის. ამხ. ცხაკაიას შემდეგ გამოდიან მთავრობის წევრები ამხ. ამხ. ელიავა, გეგეჭკორი, მახარაძე და ლუკაშინი. მიტინგის დასრულების შემდეგ მატარებელი დაიძრა ხეთისკენ. გზადაგზა გვხვდება გლეხები, რომლებიც სიხარულით ესალმებიან პირველ მატარებელს. ხობის წყალზე ხიდთან მატარებელი ჩერდება და რამდენიმე ამხანაგი მიდის ხიდზე ქვეითად და ათვალიერებენ მას. მატარებელი ნელ-ნელა გადადის ხიდს და ჩქარა, გაუმარჯოს ძახილში, ჩვენ მივდივართ ხეთის



ხეთა-ახალ სენაკის რკინის გზის გახსნა.

სადგურთან, სადაც თავმოყრილია აუარება გლეხობა. ამხ. ცხაკაია და მახარაძე ხელი ხელ ჩაკიდებული გაჰყავთ გლეხებს ვაგონიდან და დიდძალი ხალხის თანხლებით მიაცილებენ სადგურის ახლოს გამართულ ტრიბუნისაკენ.

ამხ. ქვანია ხსნის მიტინგს და სიტყვას აძლევს ამხ. ცხაკაიას. ამხ. ცხაკაიას, მთავრობისა და რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენლების შემდეგ, გამოდის ადგილობრივ გლეხობის წარმომადგენელი მოხუცი ლატარია. ორატორებს ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას ტაშითა და ვაშას ძახილით.

მიტინგის შემდეგ 4 საათზე ყველა დამსწრენი გაემართენ აღმასკომში, სადაც გამართული იყო ამხანაგური საუზმე. მთავრობის სახელით ამხ. ცხაკაიამ და მახარაძემ გადასცეს ადგილობრივ ხელისუფლებას კლუბის მოსაწყობათ და საერთოდ კულტურულ მიზნისთვის 20 ათასი მანეთი.

საუზმეს შემდეგ გამოვემართეთ მატარებლისაკენ და ინტერნაციონალის ქვეშ მატარებელი დაიძრა ტფილისისკენ.

გ. შ—ლინგ.

# სამხედრო საქმე.

## ცვლილება წვევამდელთა კმაყოფის შესახებ საერთო ქვაბიდან.

„წითელ არმიელის“ 246 №-ში წერილში—„წვევამდე მომზადების შესახებ“ აღნიშნულია, რომ „წვევამდელები კმაყოფას იღებენ ქვაბიდან; ამიტომ ის დიდი ნაკლი წვევამდელებთან მუშაობაში, რომელიც დღემდის დიდად აფერხებდა წვევამდელის სწავლებას, დღეს გამოსწორებულ იქნება“... და სხვა.

ასეთი კატეგორიული მტკიცება არაა სწორი და აგებულია სურვილზე, ვინაიდან მომავალ სამოსწავლო წელში განზრახულია მიეცეს წვევამდელებს კმაყოფა არა საერთო ქვაბის წესით, არამედ თავის ხარჯზე. ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ ამ საჭიროებისთვის სახსარს ცენტრი არ გამოსცემს, ვინაიდან სამხედრო უწყების ბიუჯეტი თავის სიმცირის გამო წვევამდელთა კმაყოფის ხარჯებს ვერ დაჰფარავს.

აქვს რა მიმდინარე წელში ერთის მხრივ ჩვენი მრეწველობის განვითარება და მეორეს მხრივ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, საბჭოთა ხელისუფლებას ამ წელში არ შეუძლია აიღოს თავის-თავზე წვევამდელთა კმაყოფა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდეს ზრუნვა წვევამდელთა შესახებ. აქ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ ჩვენს წინაშე სდგას საპასუხისმგებლო ამოცანების მთელი რიგი ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობაში, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნან გადაჭრილი და რომელთა გადაჭრაზეც დამოკიდებულია სიძლიერე და ჩვენი კავშირის საერთო კეთილმდგომარეობა.

წვევამდელებმა ამას ანგარიში უნდა გაუწიონ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობა თავის ავტორიტეტითა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მყოფ ეკონომიურ ამოცანების ცოდნით ვალდებულია აუხსნას მათ და ჩააგონოს ამ ზომის მიღების აუცილებლობა. შეიძლება იმედი ვიქონიოთ მწვევამდელთა საერთო ქვაბით დაუკმაყოფილებლობა არ შეაფერხებს წვევამდელთა მომზადებას და უკანასკნელნი პატიოსნათ აასრულებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, რომელიც მდგომარეობს პროგრამის კეთილსინდისიერად დამუშავებაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გათვალისწინებული, წვევამდელებთან მეცადინეობის პროგრამა, რომელიც უდრიდა 210 და 280 საათს, შეცვლილია საათების რაოდენობის მხრივ. ახლად გამომუშივებული პროგრამა გაანგარიშებულია 2 წელიწადზე—210 საათი წლიურად, სულ 420 საათი. წელს განზრახულია ჩატარდეს გაწვევა არა ორი თვის განმავლობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია გეგმაში, არამედ თვენახევარში საათების რაოდენობის (210) შეუმცირებლად.

წვევამდელებთან მეცადინეობა დაწყებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1-ლ დეკებრისა.

ი. ბარ.

## წვევამდე მომზადება.

ამჟამად ჩვენი არმიის ყველა ეროვნულ ნაწილებში სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა წვევამდელთა სწავლებისათვის, ხოლო უახლოეს დღეებში დაიწყება თვით სწავლა. განვიხილოთ რა ამოცანებს ისახავს წვევამდე მომზადება?

ახალი კანონის მიხედვით სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ წვევამდე მომზადება იყოფა ორ პერიოდათ: წინასწარი და წვევამდე სამხედრო მომზადება.

### წინასწარი პერიოდი.

ამ პერიოდში მომზადება იწყება 16-დან და გრძელდება 18 წლიან ჰასაკამდი. მომზადების მიზანია ფიზიკური და სამხედრო-პოლიტიკური აღზრდა. ტარდება ის სამოქალაქო ორგანიზაციების ძალებითა და საშუალებებით, ე. ი. მეორე საფეხურის სკოლების, ფიზიკური კულტურის წრეების საშუალებით ფაბრიკებში ქარხნებში, უმაღლეს სასწავლებლებში; რაიონის მუშების რკინისგზის, პარტიულ და კომკავშირის კლუბების, წითელი არმიის სახლის მიერ და სხვა. ფიზიკური აღზრდა სწარმოებს სხვა და სხვა სასპორტო ვარჯიშობის გზით. მშრომელი ახალგაზრდობა ამ პერიოდში ღებულობს დაწყებითი ცნობებს წითელი არმიის შესახებ.

### წვევამდე სამხედრო მომზადება.

19 წლიდან და არმიაში გაწვევის წლამდი ორი წლის განმავლობაში სწარმოებს წვევამდე სამხედრო მომზადება, რომელიც ახალი კანონით. შედის სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ამ მომზადებას ატარებს არმია. მისი ამოცანაა თოფის მსროლელის დაწყებითი მომზადება, რომელსაც შეეძლება მოქმედება ათეულის შემადგენლობაში, ე. ი. აქ იძენენ საველე მომზადებისა და სპეციალურ ცოდნათა აუცილებელ ცნობებს (ტყვიამფრქვევის, კავშირის, შენილბვის, ხანდაჭობის საქმე და სხვა). გარდა ამისა ამ პერიოდში ტარდება დაწყებითი სამხედრო პოლიტიკური აღზრდა.

ამ ორ წლიანი პერიოდის საერთო ხანგრძლივობა გაანგარიშებულია 420 საათზე (10 კვირა).

თვით მზადება ტარდება მოკლე ვადიან შეკრების გზით (5 დღით) სასწავლო წესდებაზე 2—3 დღის შესვენებით.

ამრიგად წვევამდე მომზადება წარმოადგენს არმიის დაწყებითი პერიოდს, მის პირველ რგოლს. ეს უკვე გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია წვევამდელისთვის შეითვისოს სწავლების პროგრამა, რათა შევიდეს არმიაში მომზადებულ მებრძოლად.

ვ.

# ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების მომავალი.

(ამხ. სტალინის წერილი)

მე ვფიქრობ, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდს რომელსაც ადგილი ჰქონდა 8 წლის უკან და დღევანდელ პერიოდს შორის რვა წლის შემდეგ ოქტომბრიდან, მიუხედავად მათ შორის დიდი განსხვავებისა არის მაინც ერთი საერთო სახე. ეს საერთო სახე მდგომარეობს იმაში, რომ ორივე ეს პერიოდი გამოხატავენ გარდატეხის მომენტს ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში. მაშინ, 1917 წელს ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო გადასვლა ბურჟუაზიის ძალაუფლებიდან პროლეტარიატის ძალაუფლებაზე. ეხლა, 1925 წელში საქმე ეხება იმას, რომ უნდა მოხდეს გადასვლა დღევანდელ ეკონომიკიდან, რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს მთლიანად სოციალისტური, სოციალისტურ ეკონომიკაზე, იმ ეკონომიკაზე, რომელიც უნდა მოხდეს მატერიალური საფუძველი სოციალისტურ საზოგადოებისთვის.

როგორი იყო გარემოება ოქტომბრის პერიოდში, როცა 1917 წლის 10 ოქტომბერს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის შესახებ? ჯერ ერთი, ომი ორ ევროპის კოალიციის (კავშირს) შორის, მთელს ევროპაში სოციალისტურ რევოლიუციის ზრდა, სეპარატიული (ცალკე) ზავის საფრთხე რუსეთის მხრივ და იმავე როიალისტების შემოტევა რუსეთში რევოლიუციის ჩახშობის მიზნით. ეს გარედ. მეორეს მხრივ, შიგნით, ჩვენი პარტიის მიერ უმრავლესობის მოპოვება საბჭოებში, გლეხთა აჯანყებები მთელ სახელმწიფოში, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება ფრონტებზე, კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობის იზოლიაცია (განკერძოება) და მეორე კორნილოვშჩინის საფრთხე.

ეს იყო მეტ ნაწილად პოლიტიკური ბრძოლის ფრონტი.

გარდატეხის მომენტი გადაწყდა მაშინ მუშებისა და გლეხების ძლევამოსილ აჯანყებით და პროლეტარიატის დიქტატურის შექმნით.

როგორაა საქმე დღეს, ბურჟუაზიული ხელისუფლების ჩამოგდებიდან 8 წლის შემდეგ? ჯერ ერთი რომ არსებობს მსოფლიოში ორი ბანაკი: ბანაკი კაპიტალიზმის, რომლის სიძლიერე დროებითაა, რადგანაც თანდათან იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში (ჩინეთი, მოროკო, სირია) და ბანაკი სოციალიზმის—საბჭოთა კავშირის, რომლის ეკონომიური მდგომარეობა იზრდება და იკრებს თავის გარშემო როგორც მოწინავე ქვეყნების მუშებს, ისე კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების ჩაგრულების—გარემოება, რომელიც იძლევა საშუალებას გადავაქციოთ მოკლე დროით „შესვენება“ „შესვენების მთელ პერიოდად“. ეს საგარეო მხრივ.

მეორეს მხრივ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და საკოოპერაციო განვითარება, მუშებისა და გლეხების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, ურთიერთობის უეჭველი გაუმჯობესება პროლეტარიატსა და გლეხებს შორის, პარტიის ავტორიტეტის გაძლიერება მუშებსა და გლეხებ შორის—აი გარემოება, რომელნიც იძლევა შესაძლებლობას წინ წავწიოთ სოციალისტური აღმშენებლობა გლეხობასთან ერთად პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ეს არის მომეტებულად სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტი.

გათავდება თუ არა დღევანდელი გარდატეხის პერიოდი პროლეტარიატის გამარჯვებით, ეს დამოკიდებულია პირველყოვლისა ჩვენი აღმშენებლობის წარმატებაზე, რევოლიუციონური მოძრაობის წარმატებაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთში, იმ წინააღმდეგობათა განვითარებაზე, რომლებიც ძირს უთხრიან კაპიტალისტურ ქვეყანას.

8 წლის უკან ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვეახლოებია პროლეტარიატი უღარიბეს გლეხობისთვის, გამოგვეყენებია ორ იმპერიალისტურ კოალიციის (კავშირის) სამკვდრო-სიცოცხლო ბრძოლა, ჩამოგვეგდო ბურჟუაზიული მთავრობა რუსეთში იმ ანგარიშით, რომ მოგვეწყო პროლეტარიატის დიქტატურა, გამოვსულიყავით იმპერიალისტურ ომიდან, გაგვემტკიცებია კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტრებთან და წაგვეწია წინ პროლეტარული რევოლიუციის საქმე ყველა ქვეყნებში.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალწვეულები ყაზარმაში

## სალამი ახალწვეულებს.

1-ლი ლეგიონი.

უკვე დაიწყო სხვა და სხვა მაზრებიდან ჩვენი ნაწილის შევსება. 8 ნოემბერს კიდევ მოვიდა ნაწილი ახალწვეულებისა, რომლებსაც სადგურში შეხვდა ძველი წითელარმიელები და მეთაურები მუსიკით. ლეგიონში მოსვლისას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ახალწვეულებს ამხ. ლეგთავმა და წითელარმიელებმა, რომლებმაც აღნიშნეს თუ რატომ გამოიწვიეს ისინი წითელ ჯარში.

ჩვენ ძველი წითელარმიელები ვესალმებით რა ახალ წვეულებს, უსურვებთ მათ რათა ყოველივე ის ცოდნა, რომელსაც მიაწვდის მათ წითელი ყაზარმა გამოიყენებიოთ მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ და მტკიცეთ დაეცვათ ოქტომბრის მონაპოვარი.

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს და მის ახალწვეულებს.

კ. მინდიაშვილი.

# სამზადისი ახალწვეულთა შესახვედრად.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონი.

ლეგიონში დიდი ხანია დაიწყო სამზადისი ახალ წვეულების შესახვედრათ.

ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ ლეგიონში ახალწვეულების მოსვლისთანავე შესაფერი მუშაობა გაჩაღებული იყო.

ამ მიზნით ლეგიონში მოეწყო მეცადინეობა უფ-პოლიტ-შემადგენლობასთან, განსაკუთრებით კი ოცეულის თავებთან, რამაც ფართო ხასიათი მიიღო. სისტემატიურად სწარმოებს მათთან მეცადინეობა 1-ლ და მეორე დივიზიების პოლიტ-განყოფილების მიერ გამოცემული წიგნით „სახელმძღვანელო პოლიტ-საათის მეთოდიკისათვის“.

სწარმოებს სათანადო მუხლების გარჩევა და მათი დაწვრილებითი შესწავლა.

ამას გარდა კი ლეგიონში არჩეულია კომისია, რომელიც დაყოფილია 3. ჯგუფად: 1. უცოდინარი, 2. მცირე მცოდნე და 3 მცოდნეების, რომლებსაც უხდებათ კონსპექტების დამუშავება და მასალების დამზადება.

ლეგიონში მოეწყო აგრეთვე პოლიტხელთა და უფშემადგენლობისათვის პოლიტიკური მომუშავის კაბინეტი, სადაც ჩვენ ამხანაგებს საშუალება ეძლევათ გააფართოვონ თავიანთი მუშაობა.

კაბინეტში არის პოლიტხელთათვის საჭირო წიგნები, ჟურნალები, რუქები და სხვა მასალები.

პოლიტმუშაობის გარდა კაბინეთის კუთხეებში არის სხვა და სხვა წრეები. მთელი ჩვენი მუშაობის სიმძიმე გადატანილია აქეთ და წრეებიც აქვე აწარმოებენ მუშაობას.

ამას გარდა ლეგიონში ყველა წრეებში სწარმოებს მეცადინეობა და სამზადისი ახალწვეულების შესახვედრად.

წრეები უკვე გადახალისებულია.

ლენინის კუთხეები.

გადახალისებულ იქნა ლენინის კუთხეები, რომელშიდაც მოეწყო პოლიტგანყოფილების ბრძანების თანახმად პარტიული განყოფილება, სამხედრო განყოფილება, ჩვენი მეცნიერება და პოლიტიკური განყოფილებები. კუთხეებში უფრო გამოფენილია თვით შემოქმედების სურათები, პლაკატები. კუთხეებში გამოფენილია აგრეთვე ასეულების კედლის გაზეთები. ლენკუთხეში გამოფენილია ასეულების აქტივი, რომლებმაც უნდა აწარმოვონ ახალწვეულებთან ხმამაღალი კითხვა. საუბრები ბელადებზე, კუთხის მნიშვნელობასა და სხვაზე, რისთვისაც მათთან უკვე დაიწყო და დამთავრდა მეცადინეობა. ასეულში არ არის არც ერთი წითელი არმიელი, არც ერთი უფ-პოლიტ-შემადგენლობიდან დარჩენილი, რომ რაიმეს არ აკეთებდენ. ყველანი მუშაობენ, აწყობენ კუთხეს, წრეებს და სიხარულით ყოველ დღეს მოელიან ახალ წვეულებს.

საკლუბო მუშაობა.

მასიური მუშაობისათვის მთელი ჩვენი ძალები მიზიდულია კლუბში. ეწყობა სისტემატიურად კლუბის გამგეობის სხდომები, მუშავდება გეგმა ახალწვეულების შესახვედრად, მზადდება პიესები, ლოზუნგები, კედლის გაზეთები და სხვა. წრეებში ყოველგან გამოცოცხლდა მუშაობა, შემქნა აქტივისტების ჯგუფი რომ მოსვლისთანავე წარმოებულ იქმეს მუშაობა ახალწვეულებთან.

ბიბლიოთეკა.

ახალწვეულების მოსვლისათვის ჩვენი ბიბლიოთეკა აწყობს წიგნების გამოფენას, იძენს საჭირო მასალებს, წიგნებს, რუქებს და სხვა. გაზეთების საქმეც მოგვარებული აქვს. სწარმოებს ბიბლიოთეკის საშუალებით გაზეთების გამოწერაც სოფლებზე.

ახალწვეულების შესახვედრათ გამოყოფილია ასეულების ბიბლიოთეკის გამგეები.

გარდა ამისა ლეგთავისა და სამხკომის მიერ დანიშნულია კომისია ახალწვეულების მისაღებათ.

სამნეო ნაწილი და საექიმო პერსონალიც ემზადებიან ახალწვეულების მისაღებად. ექიმების მეოხებით არ იქნება ის დეფექტები, რომლებიც იყო წინა წელს ახალწვეულების მიღების დროს.

დეფექტი უკვე გამოსწორებულია და სამზადისი თითქმის დამთავრებულია სანიტარულ დარგში.

სამნეო ნაწილს უკვე მზათ აქვს ყოველგვარი ტანსაცმელი და სხვა.

ს. იმნაიშვილი.

# ოქტომბრის დღესასწაული წითელ ყაზარმაში.

## მ ი ს ა ლ მ ე ბ ა.

### მე 2 ქ. მს. დივიზიის და პოლიტ-განყოფილების უფროსებს.

გილოცავთ ოქტომბრის რვა წლის თავს. გაასკეცებულ ენერგიით, ურყევ დისციპლინით ჩვენც თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ საერთო მიზნების მისაღწევად.

სამაზრო პარტკომი, აღმასკომი.

მე 4 ლეგ. მე 6 ასეულის უფპოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობა

# ოქტომბრის დღესასწაული მეთაურთა სკოლაში.

საზეიმო სხდომა.

7 ოქტომბერს სადღესასწაულო გავლის შემდეგ სკოლაში გაიმართა საზეიმო საღამო და სხდომა.

კლუბი ლამაზად იყო მორთული. საღამოზე სჩანდა მხოლოდ დრამ წრე, სხვა წრეები სუსტად იყვნენ წარმოდგენილი.

სკოლის საარტილერიო განყოფილების ძალებით დაიდგა ორი პიესა: „შვიდი ათასი“ და „საბედისწერო ლანდი“. პირველი უფრო მხატვრულად იქნა შესრულებული, მეორე პიესაც შესაფერად იქნა ჩატარებული.

წარმოდგენის შემდეგ მეგრელ კურსანტთა მიერ შესრულებული იქნა რამოდენიმე ლამაზი და მოხდენილი სიმღერები. დასასრულ ლექსებით გამოვიდენ ბავშვები.

სოფელში.

მეორე დღეს სკოლის მესამე ასეულის კურსანტებმა სადღესასწაულო წარმოდგენა გამართეს სოფ. წყნეთში. სოფლის კლუბში აუარება ხალხმა მოიყარა თავი. ბევრი იყვნენ ბავშვებიც. უკრავდა სკოლის სამხედრო ორკესტრი. ბავშვებს გაუმართეს ცეკვა თამაში, ვეუბნებოდით გამოცანებს, წავაკითხეთ ლექსები და სხვა.

შემდეგ დაიწყო საღამოც. ამის შემდეგ კი დაიდგა ვოდევილი „შეშინებული ანთიმოზი.“

ანტრაქტებში წყნეთის სკოლის მოწაფეები კითხულობდენ სადღესასწაულოდ მომზადებულ ლექსებს. საღამო დიდი მხიარულებით დამთავრდა. ადგილობრივმა ხალხმა მადლობით გამოგვისტუმრა.

სამხკორი ჩვენი.

# ოქტომბრის დღესასწაული ჩვენთან.

მე 6 ტერლეგიონი.

ლეგიონში ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლად. ყველა კომუჯრედებში კეთდებოდა მოხსენებები, ყველა ბირთვებში 28 ოქტომბერიდან ტარდებოდა სისტემატიური საუბრები, ყველა წრეებში მიმდინარეობდა მეცადინეობა, რომლებმაც დაამზადეს სათანადო ლოზუნგები, პლაკატები და დიაგრამები ლენკუთხეებისათვის. ყველა ხალისიანათ და არა ჩვეულებრივი ენერგიით მუშაობდა, 7 ნოემბრისათვის ლეგიონი აწითლდა ქუჩებთან ერთად.

მოვიდნენ ჩვენთან ზეთის ქარხნის მუშები, რომლებთანაც ერთად მწყობრად გამოვედით ქუჩაში; მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს.

გზა და გზა გვიერთდებოდენ სხვა და სხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი და წითელი ჯარის ნაწილები.

საღამოს კი წითელ არმიელები გაეშურენ კინოებსა და თეატრებში.

8 ნოემბრს დილიდანვე ისევ სამზადისში იყო ლეგიონი. ლეგიონის კლუბი შეკეთებული იქნა სადღესასწაულოდ.

საღამოს გაიხსნა საზეიმო კრება სამხკომის მიერ.

არჩეული იქნა პრეზიდიუმი. გაკეთებული იქნა მოხსენება ოქტომბრის მნიშვნელობაზე.

შემდეგი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ამხ. გრიგოლია, ჭავჭანიძე, თავართქილაძე, ყურაშვილი, გელაზონია და სხ. ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის 7 წლის თავის ისტორიას და უვადო შვებულებაში მიმავალ ძირედ არმიელების მოვალეობას სოფლად.

საზეიმო სხდომის შემდეგ დრამწრის მიერ დადგმულ იქნა 1 მოქმედებიანი შესაფერისი რევოლიუციონური პიესა. ლიტერატურული წრის წევრები გამოვიდნენ ლექსებით. მომღერალთა წრემ შეასრულა სხვა და სხვა რევოლიუციონური სიმღერები და ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში.

საღამო დამთავრდა სრულ 12 საათზე.

სამხკორი ე—ლი.

# საოქტომბერო ზეიმი 1-ლ არტლეგიონში.

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ლეგიონში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ 3-ე საბჭოთა თამბაქოს ქარხნის მუშები, კომკავშირელები, პიონერები და 12-ე მძიმე დივიზიონის წითელ არმიელები.

მისასალმებელი სიტყვები წარმოითქვა რუსულ და ქართულ ენებზე. აღინიშნა 8 წლის თავზე მუშური ხელისუფლების ყველა მიღწევები.

ბოლოს გაიმართა წარმოდგენა რუსულ და ქართულ ენებზე, რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

სამხკორი ა. არველაძე.

# წითელი ჯარი და სოფელი.

## ჩვენი საკავშირო კომისიის საქმიანობიდან.

3-მე ლეგიონი.

4 ნოემბერს შესდგა ლეგიონის საკავშირო კომისიის სხდომა.

კრებამ მოისმინა ამხ. ბობოხიძის მოხსენება საშეფო სოფელ წყალტუბოს მდგომარეობის შესახებ.

სოფ. წყალტუბოში ყოფილა 200 მოწაფე და სულ წყალტუბოს თემ. კი 800 მოწაფე მაგრამ მათ შორის 100 მოწაფე მასწავლებელის უყოლობის გამო სკოლის გარეშე არიან მაშინ, როდესაც მათ სულით და გულით სწყურიათ სწავლის გაგრძელება.

თემში არის 400 მოსახლე, ხოლო მათ შორის უკიდურესი ღარიბი 100-რომელთაც 3 ან 4 თვის სარჩო თუ მოსდით წლიურად, მიუხედავათ ამისა მათ მაინც ჰქონდათ შეწერილი სამეურნეო გადასახადი.

არის სამკითხველო, მაგრამ არ ღებულობენ საკმაო ჟურნალ--გაზეთებს.

თემში თავის დონეზე არ არის დაყენებული სამხედრო სწავლების საქმე და სხვა. კომისიამ მოისმინა რა მოხსენება დაადგინა:

1). სოფ. წყალტუბოს როგორც ლეგიონის შვილობილს ოქტომბრის 8 წლის დღესასწაულისათვის გაეგზავნოს სხვა და სხვა ლოზუნგები და მოხსენებისათვის ამხ. ბობოხიძე

2). შეძენილი იქნას ღარიბ მოწაფეთათვის რვეულები, ფანქრები და სხვა სამოსწავლო ნივთები. ამასთანვე სოფ. წყალტუბოს სისტემატიურად გაეგზავნოს შემდეგი გაზეთები: „კომუნისტი“ 5 ცალი, „მუშა“ 2 ცალი, „წითელი არმიელი“ 6 ცალი, „მოწაფის ხმა“ 5 ცალი, „ახალი სოფელი“ 5 ცალი, და აგრეთვე გაეწიოს ფიზიკური დახმარებაც სოფლის აღმშენებლობის საქმეში.

3). მეორე საშეფო სოფელ ბეკამში დირექტივების სახით გაიგზავნოს ამხ. წერილი, რომლის შედგენაც დაევალოს ამხ. ბობოხიძეს და ამასთან ერთად ღარიბ მოწაფეთათვის გაეგზავნოს 100 ფანქარი და 100 რვეული.

დადგენილი იქნა აგრეთვე სისტემატიურათ ეგზავნებოდეს გაზეთები.

4. მტკიცეთ ტარდებოდეს ცხოვრებაში სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირი.

გოგია ჭალელი.

# მოვიდენ ახალწვეულები.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს უკვე მოუვიდა ახლად გამოწვეული ამხანაგები, რომლებიც ჯერ-ჯერობით მოთავსებული იქნენ კარანტინში. ახალწვეულებს მოსვლისთანავე მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამხედრო კომისარმა და ბატარეის უფროსმა.

ამხანაგებს დაწვრილებით განემარტათ წითელ არმიელის მოვალეობა, წითელი ყაზარმის ყოფა-ცხოვრება და ზნეჩვეულებანი. მეთაურები მოუწოდებდენ ახლად მოსულებს, გულდასმით მოეკიდონ სამხედრო საქმის, პოლიტიკური ცოდნის და საერთოდ გათვითცნობიერების საქმეს, ურომლისოდაც შეუძლებელია დაიმსახურონ ღირსეული წითელი არმიელის სახელწოდება.

ახალწვეულები მქუხარე ტაშისცემით შეეგებენ ამხანაგების სიტყვებს.

ყველა ჯანსაღათ გამოიყურებიან, მოწყენა, ყაზარმით უკმაყოფილება ან სხვა არავის ემჩნევა. წითელ ყაზარმას რაღაც მოკრძალებით უყურებენ.

ყველაფერს ცნობის მოყვარეობით ათვალიერებენ. ზოგიერთ მეტად უხარია, რომ ზარბაზნებთან ექნებათ საქმე.

მისვლისთანავე ამხანაგები გაიგზავნენ აბანოში, დასუფთავდენ, დაურიგდათ ახალი ტანსაცმელი და სხვა.

ყოველ დღე სისტემატიურად ტარდება მათთან საუბრები სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ ამხანაგების მიერ, რომლებსაც ისინი დიდი ალტაცებით უსმენენ და საინტერესო შეკითხვებსაც ხშირად იძლევიან.

სამხკორი არველაძე.

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან.

# ვეხმარებით სოფელს.

მე-5 ლეგიონი.

დღემდე ჩვენი ლეგიონი თავის საშეფო სოფელ მესხეთს უწევდა მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის დახმარებას, რაც გამოიხატებოდა ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაში, კინო-წარმოდგენების დადგმა და სხვაში. ამ ჟამად კი ლეგიონის საშეფო კომისიამ საჭირო ნაწილის დახმარებით განიზრახა სოფ. მესხეთში მცხოვრებ გლეხობისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. ერთ-ერთ უღარიბეს გლეხს მამარდაშვილს აუშენეთ ფიცრული სახლი; ამით არ შეჩერებულა საშეფო კომისია. უკანასკნელად ლეგიონმა შეიძინა საშეფო სოფლისთვის: 1 ურემი, უღელი ხარი, ერთი ღორი და სხვა და სხვა ლეგიონისათვის გამოუსადეგარი, ხოლო გლეხებისათვის კი ყოველდღიური საჭირო ნივთები. გლეხები ძლიერ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ამის შესახებ. იმედია ლეგიონი სხვა დროსაც გაუწევს დახმარებას გლეხებს და მარტო ამით არ შემოფარგლავს თავის ყურადღებას.

სამხკორი კ. დევაძე.

# სამაგალითო საუბარი.

სამხედრო მეთაურთა სკოლა.

5 ნოემბერს სკოლის პირველ ასეულის ლენინის კუთხეში ჩატარებული იქნა საუბარი. საუბარი ჩაატარა მეთაურმა მესხიმ რევოლიუციისა და მისი მიზეზების შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა რუსეთის 1905 წლის მოძრაობა, თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციები, რომლებმაც ჩაუგდო მუშებსა და გლეხებს ხელში ძალა-უფლება.

მეორე მომხსენებლად გამოვიდა კურსანტი პარკოსაძე, რომელიც შეეხო თებერვლის რევოლიუციის დამარცხების მიზეზებს. მოხსენება-საუბარმა გამოიწვია მრავალი საყურადღებო შეკითხვები. საუბრით კურსანტები კმაყოფილი დარჩნენ.

სასურველი იქნება სხვა მეთაურებიც ჩაატარებდენ ასეთ საუბრებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს კუთხის მსმენელებს.

ახკორი გ. ბ—ძე.

# კომუჯრედების მდივნების მოსამზადებელი სემინარი.

1-ლი დივ. პოლიტგანყოფილება.

დივიზიის პოლიტგანყოფილებამ ამ რამოდენიმე ხნის წინად დაარსა კომუჯრედების მდივნების მოსამზადებელი სემინარი, რომელშიდაც დივიზიის ყველა ნაწილებიდან მოვლენილი იქნენ წითელარმიელები. სემინარი არის თვენახევრიანი. მეცადინეობა უკვე კარგა ხანია დაიწყო. წითელარმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას. ყოველ კვირაში გვაქვს გამოცდები. კურსებზე დროებით ჩამოყალიბებული იქნა კომუჯრედი, რომლის პასუხისმგებელი მდივანი ავალებს ამხანაგებს მოხსენებების გაკეთებას ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს კურსანტების პრაქტიკულად გაწვრთნის საქმეში. მეცადინეობა განუწყვეტლივ გვაქვს ყოველ დილა-საღამოს. სადაც არის დასრულდება სემინარის მუშაობა, რომელიც შესაფერად მომზადებულ ამხანაგებს დაუბრუნებს წითელი ჯარის ნაწილებს.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

# ქიმკურსები ჩვენთან.

5-თე ლეგიონი

10 ოქტომბრიდან ლეგიონში გაიხსნა ორკვირეული ქიმკურსები, რომელსაც ლეგიონის ყველა ასეულებიდან უნდა დასწრებოდენ ორ-ორი ათეულის მეთაურები. მეცადინეობა მშვენივრად მიმდინარეობდა ყოველ დღიურად და სიმართლე უნდა ითქვას, რომ საკმაო გამოცდილება და ცოდნა მიიღეს ამხანაგებმა. გამოცდებზე კომისია გაკვირვებული დარჩა იმ შედეგებით, რომელიც მიღწეული იქნა ორი კვირის განმავლობაში მეცადინეობის შემდეგ, რის გამო ხელმძღვანელს გამოეცხადა სათანადო მადლობა. იმედია ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიექცევა ლეგიონში და საკმაო მომზადებას მისცემენ წითელ არმიელებსაც.

სამხკორი გ—ძე.

# უცხოეთის არმიებში.

ინგლისის არმიის შემადგენლობა.

ინგლისის არმიის შემადგენლობა ამ ჟამად შემდეგია: რეგულიარული-ძირითადი ჯარები—143.000: საახალშენო—იქაური მკვიდრთაგან შემდგარი ჯარები—3.400 კაცი. სათადარიგო ნაწილები—99.000 კაცი. ტეხნიკური რეზერვი—მარქაფი—23.000 კაცი. ტერიტორიალური არმია—190.000 კაცი; ბრიტანეთის ჯარები ინდოეთში—62.000 კაცი; სულ 520.000 კაცი. ამას გარდა ინგლისს ყავს ადგილობრივი მკვიდრთაგან შემდგარი ნაწილები შემდეგი რაოდენობით: ინდოეთში 150.000 კაცი; ეგვიპტეში—7.000 კაცი; სუდანში—10.000 კაცი და მილიციური ჯარები დომინიონებში (ინგლისის იმპერიაში შემავალი ნაწილები). ინგლისის რეგულიარულ არმიას ამ ჟამად საერთოდ გათვალისწინებულ გეგმით აკლია 3.000 კაცი. ერთი ინგლისური გაზეთი ამის გამო სწერს, რომ მსოფლიო ომის შეცდენმა მოგვცა ის, რომ გამომწვევ პუნქტებზე მობილიზაციის დროს არ გამოცხადდა 3.000 კაციო. საერთოდ ომიანობამ ძლიერ შეასუსტა გაწვევის დროს გამოცხადება. რაც შეეხება უმუშევრებს, რომელთა რიცხვი ამ ჟამად აღწევს ინგლისში ერთ მილიონზე მეტს, მათი რიცხვიდან ძლიერ ცოტა ცხადდება მობილიზაციაზე. ჩინეთში გამოწვეულ გართულებების გამო მიღებულია მხედველობაში შემდეგი თეთრი ნაწილები: ჩრდილოეთ ჩინეთში—პირველი ფეხოსანი ბათალიონი—1000 კაცი; გონკონგში—პირველი ფეხოსანი ბათალიონი: პირველი საველე არტდივიზიონი, რამოდენიმე მძიმე საბატარეიო ნაწილები; 1-ლი საკავშირო ასეული და 1-ლი მესანგრეთა ასეული—3.000 კაცი და რამოდენიმე ინდოეთის ნაწილები. სინგპურის მიდამოებში—პირველი ქვეითი ბათალიონი, რამოდენიმე მძიმე ბატარეიები და თითო ასეულები საკავშირო და მესანგრეთა ნაწილებისა. დამხმარე ძალა შესაძლებელია გადაყვანილი იქნეს ინდოეთში ყოველ საჭირო მომენტის დროს.

**რუმინეთის არმია შიმშილობს.**

რუმინეთის სამხედრო სამინისტრომ ხელშეკრულება დასდო სასოფლო კოოპერაციასთან, არმიისათვის საჭირო სურსათ სანოვაგის მიწოდების შესახებ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გამოურკვეველი მიზეზების გამო, კოოპერაციამ არ შეასრულა ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ჰქონდა სამინისტროდან 100 მილიონი ლეი. ასე რომ, როგორც აღნიშნავს რუმინეთის პრესა ამ უკანასკნელ დღეებში არმია დიდ შიმშილს განიცდის. საკითხი კიდევ უფრო მწვავდება იმ გარემოებით, რომ სამხედრო ნაწილებს სრულიად არა აქვთ გახსნილი კრედიტი სურსათ სანოვაგის შესაძენად.

# გლეხების მიწვევა სახ. კომისარიატში.

გლეხობის ხელისუფლებასთან დაახლოების მიზნით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სამუშაოთ გლეხკომების ცენტრ. კომიტეტმა სამუშაოთ მოავლინა სენაკის მაზრაში მცხოვრები გლეხი ამხ. გეგენავა.

ამხ. გეგენავას ჯანსახკომისარიატთან მივლინების მიზანია, რათა კომისარიატის მუშაობა უფრო დაახლოებულ იქნეს გლეხების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებთან.

ამას გარდა გლეხების წარმომადგენელი ჯანსახკომში შეუდგება ტფილისში ჩამოსულ გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენას თუ მათ საქმე ექნებათ ჯანსახკომის დაწესებულებებთან.

დ.

# ამბები სოფლებიდან

— **დეპო სენაკში.** სენაკის სამაზრო აღმასმაკომმა დაადგინა იშუამდგომლოს სახ. კომ. საბჭოს წინაშე სენაკში შავი ზღვის რკინის გზის დეპოს მოწყობის შესახებ.

— **ებრაელ ბავშვთა სკოლა.** თანახმათ ებრაელ მცხოვრებთა შუამდგომლობისა სოფ. ბანძაში განზრახულია გაიხსნას ებრაელ ბავშვთათვის ცალკე სკოლა.

— **გზების შეკეთება.** თელავის აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას შეადგინოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა მაზრის შარა-გზების შესაკეთებლათ.

— **სოფ. ახმეტაში** თელავის აღმასკომს განზრახული აქვს გახსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

— **წყალსადენი სოფლათ.** სოფ. პერევისას (შორაპ. მაზ.) მცხოვრებლებმა დაადგინეს სთხოვონ სამაზრო აღმასკომს დახმარება სოფელში წყალსადენის გამოსაყვანათ.

— **1905 წლის** რევოლიუციის 20 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ გორის მაზრაში, სამაზრო აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

— **გზების გასაყვანათ** შორაპნის სამ გლეხკომმა დაადგინა უფასოთ მისცეს გლეხებს გზების გასაყვანათ საჭირო იარაღები და ასაფეთქებელი მასალები.

— ოზურგეთის სოც. უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილება თავის ხარჯზე ინახავს 11 უპატრონო ბავშვს.

— **გლეხების კინოსთვის.** აჭარის პოლიტგანათლებას გადაწყვეტილი აქვს მისცეს სოფ. ჩაქვში გლეხებისათვის კინოს მოსაწყობათ დინამო-მანქანა.

— **გორის** აღმასკომმა მისწერა თემებს, რომ გლეხებს არ აუკრძალონ სხვა და სხვა ადათ-ჩვეულებანი, მხოლოდ გასწიონ აგიტაცია ამ ადათ-ჩვეულებების მავნებლობის შესახებ.

— **ახალქალაქის** აღმასკომმა მისწერა სათემო აღმასკომებს, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ მაზრის შემსწავლელ საზოგადოების წევრებს სოფლებში მუშაობის დროს.

# ახალი ამბები.

— **საბიბლიოთეკო მუშაობა წვევამდელებში.** პოლიტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექცია ამ ჟამათ იმუშავებს სიას იმ წიგნებისას, რომელნიც უნდა მოხმარდეს წვევამდელების მომზადების საქმეს.

— **თვითგანვითარების ბიურო.** ცენტრ. სამხ. ბიბლიოთეკასთან ეწყობა თვითგანვითარების ბიურო უფშემადგენლობისათვის, პოლიტშემადგენლობისათვის და ცვალებადელთათვის.

— **მესაქონლეობის გამოკვლევას** მიწათმოქმედების კომისარიატი შეუდგა ხევსურეთში, მთიულეთში და სამეგრელოში.

— **ღვინის დამზადება.** სახალხო მამულების ტრესტმა მუკუზანის სახალხო მამულში დაამზადა 10 ათასი ვედრო ღვინო.

— **მილოცვა ოქტომბრის დღესასწაულების გამო.** 7 ნოემბერს შუადღის 12 საათზე საბჭ. კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს ა.-კავკასიაში ამხ. კარკლინს ესტუმრენ ტფილისში მყოფი სხვა და სხვა სახელმწიფოთა ელჩები და მიულოცეს ოქტომბრის დღესასწაულის 8 წლის თავი.

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. ცოლი მყავს ავადმყოფი, რომელიც საჭიროებს აპერაციას. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

ნ. ჯაყელი.

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა 29 ოქტომბრიდან 1924 წ.წ. ა. ოჯახის ავამყოფ წევრები უფლება აქვთ მოათავსონ საავათმყოფოებში, სარგებლობენ უფასო საექიმო დახმარებით. მიმართეთ ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებას.

კითხვა. მივდივარ მოკლე ვადიან შვებულებაში. შემიძლია თუ არა რიგს გარეშე ავიღო სამგზავრო ბილეთი?

წ. ა სურგულაძე.

**პასუხი.** თუ ლიტერი გაქვთ რიგს გარეშე გამოგიცვლიან სამხედრო კასაში და თუ არა, მაშინ ბილეთი უნდა შეიძინოთ ისე, როგორც სხვა მოქალაქეები.

კითხვა. ზედმეტ მსახურათ დარჩენილ წ. ა. რომელ თვიდან მიეცემა ჯამაგირი?

პასუხი. პირველ ნოემბრიდან.

კითხვა. არ მაქვს სახლკარი, სარჩენი მყავს ოთხი სული. სამსახურის გათავების შემდეგ ვის უნდა მივმართო ადგილისათვის?

**პასუხი.** უნდა მიმართოდ სადაც თავისუფალი ადგილი იქნება და პირველ რიგში უნდა მოგეცეთ ასეთი, როგორც წ. ა. მიელს.

კითხვა. მოხალისეთ ვმსახურებ წ. ჯარში ერთი წელიწადი. ბრძანების თანახმად დამითხოვეს. მომეცემა თუ არა მაზარა?

მ. ჟღენტი.

**პასუხი.** მოგეცემათ მეორე ვადის მაზარა.

კითხვა. ვარ მეკუჭნავედ. ცეხგაუზის გადატანის დროს დამეკარგა ბლუზა და შარვალი, გადამახდევინებენ თუ არა მის ღირებულებას?

**პასუხი.** უნდა მოხდეს ამის შესახებ კვლევა ძიება. თუ დამტკიცდა რომ თქვენ არ ხართ დაკარგვის მიზეზი. იმ შემთხვევაში არ გადაგახდევინებენ.

**კითხვა.** კურსანტებს გვეკუთვნის თუ არა ტყავის ქამრები?

**პასუხი.** გეკუთვნით.

**კითხვა.** წ. ა. იხდიან თუ არა ველოსიპედის გადასახადს?

პასუხი. თანახ. საკავშირო ცაკის დადგენილებისა წ. ა. ველოსიპედის გადასახადისაგან თავისუფლდებიან.

კითხვა. სასოფლო-სამეურნეო იარაღით სარგებლობა გამქირავებელი პუნქტიდან უფასოთ შეუძლიათ თუ არა წ. არმიელების ოჯახებს?

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა წ. ა. შეუძლიათ დროებით სარგებლობა სამეურნეო იარაღებით უფასოთ ან შეღავათიან ფასებში.

კითხვა. სატრაქტორო კურსებზე შეუძლია თუ არა იაროს წ. არმ.

პასუხი. შეუძლია თავის უფროსის ნებართვით.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის № კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. 1) რეხვიაშვილი გერასიმე ივანეს ძეს (რაჭის მაზრ. უპარტიო), 2) შენგელია არისტრახ მალაქიას ძეს (ქუთაისის მაზრ. უპარტიო) და 3) ფარეიშვილი გიორგი ასალოს ძეს (ოზურგეთის მაზრ. უპარტიო) თუ ვინმეს რაიმე გაქვთ მათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღეში.

ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის პირველი კომუჯრედში.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.